საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული
დავების განხილვის საბჭო

სტატისტიკური ანგარიში

დავების განხილვის საბჭოს აპარატი

2020

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2020 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

საერთო მაჩვენებლები

2020 წელს საბჭოში წარმოდგენილია 2090 საჩივარი.



საანგარიშო პერიოდში გაიმართა დავების განხილვის საბჭოს 71 სხდომა.



გადაწყვეტილება მიღებულია 1233 საქმეზე.

დინამიკა წლების მიხედვით



სადავო თანხამ შეადგინა 447 მილიონი ლარი.

სადავო თანხის დინამიკა წლების მიხედვით

(მილიონი ლარი)



გადაწყვეტილებები:

მიღებული გადაწყვეტილებებით სრულად და ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 346 საჩივარი, 589 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 298 საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.





მომჩივნები

განხილული საჩივრიდან უმეტესი ნაწილი წარმოდგენილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების და ფიზიკური პირების (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეების) მიერ:



დავის საგნები

საბჭოს მიერ განხილულ საჩივრებში ჭარბობდა შემდეგი დავის საგნები:

1. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
2. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები;
3. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის გამო გამოსაქვითი ხარჯის შემცირება;
4. ანგარიშვალდებულ პირზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების დაბეგვრა;
5. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;
6. უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების გამოვლენის შედეგად განხორციელებული დარიცხვის მართლზომიერება;
7. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება;
8. საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით განსაზღვრა;

9. სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები
10. ამხანაგობაში მომსახურების შეტანის გრძელვადიანი კონტრაქტის შესაბამისად მომსახურების მიწოდებად განხილვა;
11. მიწის და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების რეალიზაციის დღგ-ით დაბეგვრა;
12. სალაროს ნაშთის ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულ უპროცენტო სესხად, ხოლო სარგებლის თანხის აღნიშნული პირის მიერ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად მიჩნევა;
13. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის განსაზღვრის გამო განხორციელებული დარიცხვა;
14. არარეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა;
15. არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურების უკუდაბეგვრის დღგ-ით დაბეგვრა;
16. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგები.